ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО. Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 82 (992) | კვირა, 7 ოქტომბერი 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.



სურათებზე: დინამოელ სპორტსმენთა გამოსვლები სოფელ აკურის მშრომელების წინაშე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით წელს ფართოდ იქნა აღნიშნული ალექსანდრე ალიოხინის გარდაცვალების ათი წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საკავშირო საჭადრაკო სექციამ გადაწყვიტა მოაწყოს გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მოწვეული არიან თანამედროვეობის წამყვანი გროსმაისტერები.

ტურნირი, რომელიც დღეს იხსნება მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, დიდი ხანია იწვევს ჭადრაკის მრავალრიცხოვან მოყვარულთა ინტერესს. მასში მონაწილეობის თანხმობა განაცხადეს: იუგოსლავიის ხუთგზის ჩემპიონმა სვეტოზარ გლიგორიჩმა, ცნობილმა უნგრელმა გროსმაისტერმა ლასლო საბომ, შვეციის მრავალგზის ჩემპიონმა გროსმაისტერმა გედეონ შტალბერგმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უძლიერესმა მოჭადრაკემ გროსმაისტერმა ვოლფგანგ უნციკერმა და ჩეხოსლოვაკელმა გროსმაისტერმა ლუდეკ პახმანმა. არგენტინის საჭადრაკო ორგანიზაცია წარმოდგენილი იქნება ამ ქვეყნის უძლიერესი გროსმაისტერებით. ითამაშებენ მიგუელ ნაიდორფი და ოსკარ პანო. განსაკუთრებით საინტერესო იქნება ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში ახალგაზრდა გროსმაისტერ ბენტ ლარსენის (დანია) მონაწილეობა. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისო ოსტატი, ინგლისის მრავალგზის ჩემპიონი ჰარი გოლომბეკი. იგი მრავალჯერ შეხვედრია ტურნირებში ალიოხინს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები წარმოდგენილი არიან ახალგაზრდა ოსტატებით, რომლებიც დიდ იმედებს იძლევიან. ესენი არიან ვიქტორ ჩოკილტეა (რუმინეთი), ნიკოლა პადევსკი (ბულგარეთი), ვოლფგანგ ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და ბოგდან სლივა (პოლონეთი).

საბჭოთა კავშირიდან ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონი გროსმაისტერი მიხეილ ბოტვინიკი, გროსმაისტერები ვასილ სმისლოვი, პაულ კერესი, დავით ბრონშტეინი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი მარკ ტაიმანოვი. შეჯიბრების მთავარი მსაჯია უხუცესი რუსი მოჭადრაკე, დამსახურებული ოსტატი პ. რომანოვსკი. საერთაშორისო ტურნირი გასტანს 10 ნოემბრამდე.

## 3 : 2

ბულგარეთში საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფება თბილისის „დინამო", რომელმაც პირველი მატჩი ჩაატარა გუშინ სოფიის „დინამოსთან". ეს გუნდი რესპუბლიკაში ერთერთ უძლიერესად ითვლება.

შეხვედრა, რომელიც დაძაბულად და მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა, დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 3:2.

თბილისის „დინამო" მორიგ საერთაშორისო შეხვედრას გამართავს ცდნა-სთან (სახალხო არმიის ცენტრალური სახლი).

## ყურადღება ძირეულ პრესას

დიდი და სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა პრესამ, რომელიც შექმნილი და გამობრძმედილია კომუნისტური პარტიის მიერ „პრავდის" საბრძოლო ტრადიციებზე. საბჭოთა პრესა ახალი ტიპის პრესაა, რომელიც ემსახურება მშრომელთა ინტერესებს და მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან. ჩვენი პრესა ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის, როგორც კოლექტიური ორგანიზატორი, პროპაგანდისტი და აგიტატორი. საბჭოთა პრესის სიძლიერე მის იდეურობაშია.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ძირეულ პრესას, რომელშიც მშრომელთა ფართო მასები მონაწილეობენ, თამამად აკრიტიკებენ თავიანთი ორგანიზაციის, წარმოების, დაწესებულების, სკოლის, კოლმეურნეობის ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვან მხარეებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, გამოდიან სხვადასხვა წინადადებებით, ამხელენ ზარმაცებს, უქნარებს. ერთი სიტყვით ძირეული პრესა — კედლის გაზეთი მთლიანად ასახავს იმ დაწესებულების ცხოვრებას, რომლის ორგანოც იგი არის.

პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების კედლის გაზეთების გვერდით ხშირად შევამჩნევთ, განსაკუთრებით დიდ ორგანიზაციაში, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის კედლის გაზეთს, რომლის ყოველ ახალ ნომერს მოუთმენლად მოელიან. ჩვენმა რედაქციამ ამას წინათ შეამოწმა დედაქალაქის ზოგიერთი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა ამ დარგში. ზოგრგან ვნახეთ გემოვნებით გაფორმებული, თემატიკით მრავალფეროვანი კედლის გაზეთი. მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც ვნახეთ, რომ ზოგიერთი დაწესებულების კედელს ამშვენებდა გასული წლის იანვარში გამოსული ნომერი, რომელიც ხანდაზმულობას გაეყვითლებინა და დაემტვერა. ზოგიერთ ფიზკულტურულ კოლექტივში არც კი მოგონებიათ რედკოლეგიის არჩევა, ზოგან კი დაუფიქრებლად განაცხადეს: კედლის გაზეთი იმიტომ არ გამოდის, რომ საჭირო თანხები არა გვაქვსო (!).

ფიზკულტურულ-სპორტულმა კედლის გაზეთებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მზადების პერიოდში. ისინი რაზმავდნენ ფიზკულტურელებს საკუთარი კოლექტივის სპორტული ღირსების დასაცავად, სპორტული ტექნიკის ამაღლებისათვის, დღის სინათლეზე გამოჰქონდათ და იბრძოდნენ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სექციების მუშაობაში, სპარტაკიადამ წარმატებით ჩაიარა, ახლა საჭიროა ახალი ძალით გაიშალოს სპორტული კედლის გაზეთების საქმიანობა, საჭიროა უფრო მკვეთრად გამოჩნდეს მისი როლი, როგორც მასების დამრაზმავი.

პირველ რიგში საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე. დასამალი არაფერია. ეს მნიშვნელოვანი საქმე მიმდინარე წელს კარგად არ გამოიყურება. რესპუბლიკაში არის რაიონები, სადაც გეგმა სანახევროდაც კი არაა შესრულებული. საჭიროა კედლის გაზეთების რედკოლეგიებმა მოურიდებელი კრიტიკით ამხილონ ამ საქმის ჩავარდნის მიზეზები და მოუწოდონ ფიზკულტურელებს მასობრივად გამოვიდნენ სპორტულ მოედნებზე მათ ნორმების ჩასაბარებლად.

ახლა მთელი მსოფლიო ემზადება ახალგაზრდობის ფესტივალისათვის, რომელიც მომავალ წელს მოსკოვში ჩატარდება. ემზადებიან ჩვენს რესპუბლიკაშიც. ამ საერთო სახალხო ღონისძიებაში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ ძირეულმა კოლექტივებმა, რადგანაც ფესტივალის პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სპორტს. რედკოლეგიებმა განსაკუთრებით გაფორმებული სპეციალური ნომრები უნდა მიუძღვნან ფესტივალს, გაზეთში მოთავსებულ წერილებში ფიზკულტურელებს უნდა განვუმარტოთ ფესტივალის მნიშვნელობა, დებულება, მიზანი და ამოცანები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თვითმოქმედებას, მასების ინიციატივას. კედლის გაზეთი სათავეში უნდა ჩაუდგეს საკუთარი ძალებით სპორტული მოედნების აგებას და აგებულის მოვლა-პატრონობას, ინვენტარის შეძენას, ღონისძიებების მომზადებას და სხვ. დასასრულ ჩვენ გვინდა დავაყენოთ ერთი საკითხი — საქალაქო, საოლქო კომიტეტებმა და რაიონულმა კომიტეტებმაც საჭიროა ერთხელ მაინც შეკრიბონ სპორტული კედლის გაზეთების რედაქტორები და ჩაუტარონ მოკლევადიანი სემინარი ადგილობრივი პრესის მუშაკების დახმარებით.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ რათა ძირეული პრესა გადაიქცეს მაორგანიზებელ ორგანოდ, რომელიც ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩააბამს მასებს.

## ეხმარებიან სოფლის ფიზკულტურელებს

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა სოფლის ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურული და სპორტის მუშაობის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის წამყვანი ორგანიზაციები არასათანადოდ უზიარებენ მათ თავიანთ გამოცდილებას, არ უწევენ პრაქტიკულ დახმარებას სოფლის ფიზკულტურელებს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ 29-30 სექტემბერს თელავის რაიონში მოაწყო ორი საჩვენებელი გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობდნენ ძალოსნები: კ. ებრალიძე, ა. ჯალოიანი, შ. წერეთელი, მოკრივეები: თ. მიქაელიანი, კ. ზუბიაშვილი, ე. სტეპანოვი, ტანმოვარჯიშეები: რ. შარაბიძე, ო. ქორქია, რ. კაჭახიძე, ჰ. ბურჯანაძე, ს. მითაიშვილი, ლ. შეროკაია და სხვები.

პირველი გამოსვლა მოეწყო თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის სპორტულ მოედანზე, შეხვედრას მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო. მასპინძლებს სიტყვით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მაისურაძემ, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ბრიგადის შემადგენლობა და მათი ჩამოსვლის მიზეზი, რის შემდეგ დაიწყო საჩვენებელი გამოსვლები.

მეორე დღეს ასეთივე გამოსვლები მოეწყო თელავის სტადიონზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საჩვენებელ გამოსვლების მოწყობაში სათანადო ღვაწლი მიუძღვით რაიონულ კომიტეტსა და „დინამოს" რაიონულ საბჭოს.

სასურველი იქნებოდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მაგალითისამებრ ჩვენი რესპუბლიკის სხვა, რაიონებსა და სოფლებში საჩვენებელი გამოსვლების ჩასატარებლად და მათთვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად გაემგზავრონ სპორტსაზოგადოებათა საუკეთესო წარმომადგენლები.

## მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა

ბათუმში სტუმრად მყოფი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტურისტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ფიზკულტურელები — ქალაქ ლევიცის ფიზკულტურის კომიტეტის მუშაკები, ეწვია ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტს.

ქალაქ ლევიცის სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ს. საბომ ლევიცისა და ბათუმის ფიზკულტურელთა მეგობრობის ნიშნად ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ურუშაძეს ქალაქის სპორტსმენებისათვის გადასცა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა, მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა სამკერდე ნიშნები. თავის მხრივ გ. ურუშაძემ ბათუმის სპორტსმენთა სახელით ლევიცელ ფიზკულტურელებისათვის სტუმრებს გადასცა კომიტეტის სიგელები, ქალაქის ჩემპიონთა და რეკორდსმენთა ფოტოსურათები, სპორტული ალბომი, სამკერდე ნიშნები.

ლევიცისა და ბათუმის ფიზკულტურულმა მუშაკებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. ამ შეხვედრით საფუძველი ჩაეყარა ბათუმისა და ქალაქ ლევიცის ფიზკულტურელთა მეგობრობას.

ი. ბუღნიკი

## ათი სანტიმეტრით შორს

კიევში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე ჩატარდა მოსწავლეთა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც კონკურსგარეშე მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი გოგონათა შორის ლ. სივცოვა. ამ შეჯიბრებაზე მისი გამოსვლა ახალი საკავშირო რეკორდით აღინიშნა. ჰკრა რა ბირთვი 14 მეტრსა და 39 სანტიმეტრზე, 10 სანტიმეტრით გააუმჯობესა ძველი საკავშირო რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

# ქმედითი, ბრძოლისუნარიანი ძირეული პრესისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტისა და მაუდ-კამვოლის კომბინატის სპორტული გაზეთები.



## კარგი ტრადიცია

კარგი ტრადიციების მქონეა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი. აქ აღზრდილებიდან უკვე მრავალმა შედგა ფეხი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებზე. ა. ქავთარაძე და თ. კუხიანიძე პამირის ექსპედიციებშიც კი მონაწილეობდნენ. სასახლეში ისინი იზრდებიან არა უბრალო მთამსვლელებად, არამედ ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებად, რომლებმაც იციან მეგობრობა, ერთმანეთისათვის თავდადება.

ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ თვითონ აღსაზრდელები და განსაკუთრებით მათ მიერ გამოშვებული საველე გაზეთები „ნორჩი მთამსვლელი" და „ნორჩი ტურისტი". ყოველ ლაშქრობაში გაზეთები იბრძვიან იმისათვის, რომ ახალბედა სპორტსმენებს ასწავლონ ლაშქრობის, სიმაღლეთა დაძლევაში თოკების გამოყენების, ურთიერთ დაზღვევისა და სხვა მთამსვლელური ტექნიკა. სატირულ გაზეთებში „ეკალსა" და „ჩანგალში" კი მოთხრობილია ლაშქრობის ზოგიერთი დაუდევარი მონაწილის შესახებ. მათი იუმორი იმდენად მსუბუქია, რომ ნორჩის გულს მაინცდამაინც არ გაანაწყენებს, მაგრამ სამაგიეროდ ჭკუას ასწავლის.

წელს ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტმა ჩაატარა პიონერული ასაკის ნორჩი ტურისტების 5-დღიანი ლაშქრობა ბეთანიაში, შედარებით უფროსი ასაკის მოგზაურებისათვის — თეთრიწყაროს რაიონში, სადაც 25 აღსაზრდელმა მიიღო „სსრკ ტურისტის" I საფეხურის ნიშანი. ყაზბეგის რაიონში ჩატარებული ლაშქრობის დროს დაიპყრეს მწვერვალი ყურო, მოეწყო ექსკურსია მოსკოვში, ლენინგრადში, ტალინში, რიგაში.

მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, თან ახლდათ თავიანთი საყვარელი კოლექტიური ორგანიზატორი — საველე გაზეთი, რომელიც ახალ-ახალი ნომრებით მდიდრდებოდა.

ა. ჯაფარიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## კოლექტიური ორგანიზატორი

ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოველთვიური კედლის გაზეთ „ფიზკულტურელის" (რედკოლეგიის თავმჯდომარე ი. ციბაძე) ფურცლებზე ხშირად ვხვდებით დადებით და მამხილებელ წერილებს სექციებისა და ცალკეულ სპორტსმენების მუშაობის შესახებ, ლექსებს სპორტულ თემაზე. გაზეთი ფართოდ გამოეხმაურა საშეფო ორგანიზაციაში—რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივის მიერ ჩატარებულ მუშაობას. აქაურმა ფიზკულტურელებმა ქარხნისა და რუსთავის საქალაქო სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში მეტალურგებთან მოეწყოს სემინარები მსაჯებისა და ფიზორგების მოსამზადებლად, ჩაატარეს საჩვენებელი გამოსვლები.

კარგია მიმდინარე წლის სამაისო ნომერი. მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს განყოფილება „ცივი და ცხელი", სადაც ნახატებში მოთხრობილია ინსტიტუტში შხაპების უქონლობაზე. კედლის გაზეთში გამოქვეყნებულმა ამ მასალამ სათანადო შედეგი გამოიღო. ახლა ინსტიტუტის სტუდენტებს სექციებში ვარჯიშის შემდეგ შეუძლიათ ადგილზევე მიიღონ შხაპები.

უკანასკნელ ნომერში, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გამოვიდა, საყურადღებოა წერილი „რა შეგვიშლის ხელს ახალ სასწავლო წელს", სადაც ლაპარაკია ინსტიტუტთან ჩოგბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ცურვისა და სხვა ბაზების მოუწყობლობაზე. ამავე ნომერში მოთავსებულია სპორტის ოსტატის, მძლეოსნობის კათედრის ასპირანტ ვ. ვაშაკიძის წერილი „ჩვენი სტუდენტები საკავშირო სპარტაკიადაზე", სადაც გაკრიტიკებულია ინსტიტუტის სტუდენტები ი. გიგაური, ე. ნოზაძე, ა. მარჩენკო და ა. მჭედლიშვილი, რომლებმაც ხალხთა სპარტაკიადაზე „0" ქულა მიიღეს, აქვეა ლაპარაკი ამ ჩავარდნების მიზეზებზე.

ამ დღეებში კედლის გაზეთის რედკოლეგიამ გამოცდილების გაზიარების მიზნით მეგობრული კავშირი დაამყარა კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის კედლის გაზეთის რედკოლეგიასთან.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში მხოლოდ ამით როდი განისაზღვრებოდა ძირეული პრესის ზრუნვა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში. გასულ სასწავლო წელს კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით აქ მოეწყო კონკურსი საუკეთესო სპორტულ კედლის გაზეთზე კურსებს შორის. სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში კათედრებზე გამოდიოდა ბიულეტენები. საინტერესო და მრავლის მეტყველი იყო იუმორისტული ილუსტრირებული გაზეთი „კრივი", რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. კარგი იქნებოდა თუ კურსების კედლის გაზეთები და „კრივი" შემდგომში უფრო ინტენსიურად განაგრძობდა მუშაობას. ეს კარგ სამსახურს გაუწევდა ინსტიტუტის დირექციას, ძირეულ კოლექტივს მაღალი თანრიგის სპორტსმენთა აღზრდის საქმეში.

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კოლექტივი საკმაოდ გაძლიერდა უკანასკნელ წლებში, აქაურმა ფიზკულტურელებმა რამდენჯერმე მოიგეს დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადა. დირექციის, ფიზკულტურის კათედრისა და სტუდენტ სპორტსმენთა შეთანხმებულ მუშაობას დიდად უწყობს ხელს აქაურ ფიზკულტურელთა დამრაზმველი ძირეული პრესა. გარდა იმისა, რომ ფიზკულტურის კათედრაზე ხშირად გამოდის სპეციალური გაზეთები და ფოტოგაზეთები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ალპინიზმსა და სპორტის სხვა სახეობაში, ყოველ კურსზე კომკავშირის საკურსო ბიუროები და ფიზკულტურული საბჭოები სისტემატურად უშვებენ კურსის, ფაკულტეტის, ინსტიტუტის ფიზკულტურელთა ცხოვრების, დადებითი გამოცდილებისა და ნაკლოვანებათა ამსახველ კედლის გაზეთებს. სწორედ ძირეულმა პრესამ დააახლოვა და შეადუღაბა ამ უზარმაზარი კოლექტივის სპორტსმენები ერთ მთლიან, ძლიერ ოჯახად.

მაუდ-კამვოლის კომბინატს მდიდარი შესაძლებლობების მქონე კოლექტივში დიდხანს ვერ შეძლეს ძლიერი გუნდების შექმნა, ფიზკულტურის მუშაობის მასობრივად გაშლა. ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს წევრთაგან არავის მოგონებია, რომ ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას გაუწევდა სპორტული კედლის გაზეთი. „კრასნოე ზნამიას" რესპუბლიკურმა საბჭომ მდგომარეობის გამოსასწორებლად აქ ფიზკულტურის ინსპექტორად მოავლინა ბ. კოვალიოვი.

სწორედ კედლის გაზეთით დაიწყო მან თავისი საქმიანობა კომბინატში, მალე მისივე რედაქტორობით გამოვიდა „ფიზკულტურნიკის" პირველი ნომერი, რომელიც საფუძვლიანად აკრიტიკებდა სექციების უმოქმედობას, ძირეულ საბჭოს წევრთა უქნარობას, დირექციის სუსტ დახმარებას. გაზეთი კარგად გამოხატავდა სპორტის გულშემატკივართა ინტერესებს. ბევრმა ვანაცხადა მასში თანამშრომლობის სურვილი და... მოკლე ხანში კომბინატში ყველაფერი შეიცვალა. გაზეთის სისტემატურმა გამოსვლამ, მისმა მწვავე, კრიტიკულმა და საკმაოდ სატირულმა სტილმა მალე ნაყოფი გამოიღო. სექციებმა ახალი ძალით განაახლეს მუშაობა, წესრიგში მოიყვანეს ბაზები, კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი დედაქალაქში მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ახლა აქ სპორტის 12 სექცია მუშაობს. გაზეთი მკითხველებს ხშირად მოუთხრობს მათი საქმიანობის შესახებ წერილებით, ფოტოდოკუმენტებითა და კარიკატურებით.

გაზეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების მიმდინარე წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში, სპარტაკიადისათვის მზადების საქმეში. ახლა კი მისი მთელი ყურადღება მიმართულია ახალგაზრდობის ფესტივალის წარმატებით ჩატარებისაკენ. გაზეთის მაღალხარისხოვნებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ხალხთა სპარტაკიადის დღეებში „კრასნოე ზნამიას" ცენტრალური საბჭოს მიერ მოწყობილ კედლის გაზეთების დათვალიერებაზე „ფიზკულტურნიკმა" საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ამას ვერ ვიტყვით სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის" რესპუბლიკურ საბჭოს გაზეთ „პიშჩევიკის ხმის" (რედაქტორი რ. პოლიტოვი), 50-ე, 55-ე საშუალო სკოლებისა და სხვათა ჯარედაქციო კოლეგიების მუშაობის შესახებ. ამ ორგანიზაციებში სპორტულმა კედლის გაზეთებმა დაჰკარგეს თავიანთი სახე, მათი გამოშვება სეზონურ საქმედ გადაიქცა.

ახლა რესპუბლიკის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების წინაშე ახალი ამოცანები დგას — წარმატებით მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ახალგაზრდობის პირველ ფესტივალში. კედლის გაზეთებმაც სწორედ აქეთ უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა, ძირეულ კოლექტივებს დაეხმარონ ძლიერი გუნდების დაკომპლექტებაში.

ო. გელაშვილი

## მეგობრული დახმარებით

შესვენების საათები იყო. ახალგაზრდები სპორტულ მოედანზე მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთს თამაშობდნენ, როცა ჩვენი კედლის გაზეთ „ნა სტარტის" მორიგი ნომერი გამოვაკიდეთ. მალე მის ირგვლივ თავი მოიყარეს სამმართველოს ფიზკულტურული ცხოვრებით დაინტერესებულებმა. ყველა კითხულობდა წერილს „ხალხთა სპარტაკიადის შედეგები და ჩვენი ამოცანები", ეცნობოდნენ ტრამვაელთა ფიზკულტურულ კოლექტივში უკანასკნელ ხანში შემჩნეულ ნაკლოვანებებს. მაგრამ სხვების გამკრიტიკებელი ჩვენი გაზეთი იქვე შეიქმნა სამართლიანი შენიშვნების ღირსი. მკითხველებმა გაზეთში რამდენიმე შეცდომა შეამჩნიეს. იგი ადგილზევე გავასწორეთ.

ეს მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი საკმაოდ დიდი კოლექტივის მუშა-მოსამსახურენი, ფიზკულტურელები და სპორტული კედლის გაზეთი გათიშული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი როდი არიან, არამედ ერთიმეორის დახმარებით ასწორებენ ნაკლოვანებებს.

კედლის გაზეთმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივის განმტკიცებაში. როგორც წესი, ძირეულ კოლექტივებში აკრეფილი საწევრო ანარიცხების ნაწილი მასვე ხმარდება. ეს კარგად იციან ტროლეიბუსის სამმართველოს, მოძრაობის I რაიონისა და ლიანდაგის სამსახურის ძირეულ კოლექტივებშიც. მაგრამ მათმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო დროულად შეეგროვებინა საწევრო ანარიცხები, რის გამო ისინი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მოხვდნენ. ხშირად ვაქვეყნებთ კრიტიკულ შენიშვნებს, აგრეთვე სპორტსმენების მიერ სექციების გაცდენის, შეჯიბრებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და სხვათა შესახებ.

თბილისელი ტრამვაელები მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო ჯილდოს მფლობელები არიან. ისინი უძლიერესად ითვლებიან დედაქალაქში. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს გაზეთსაც მიუძღვის.

გ. არაბული,
რედკოლეგიის თავმჯდომარე.

## ძირითადი თემა

სკოლის სპორტინვენტარის ნაკლებობა, დარბაზის სივიწროვე, სპორტთამაშებისათვის ეზოს უვარგისობა, მოსწავლეთა ერთი ნაწილის მიერ ფიზკულტურის გაკვეთილებისა და სექციების გაცდენა, გულგრილი დამოკიდებულება სპორტინვენტარისადმი, სკოლის ფიზკულტურული კოლექტივისადმი — აი ჩვენი კედლის გაზეთ „სპორტის" ძირითადი თემა. ყველა წერილისა თუ ინფორმაციის ავტორები თვითონ მოსწავლეები არიან. ისინი დაუნდობლად აკრიტიკებენ თანატოლებს.

მიმდინარე სასწავლო წელს ჯერ კიდევ ვერ შევძელით გაზეთის მორიგი ნომრის გამოშვება. მოკლე ხანში აღმოვფხვრით ამ ნაკლოვანებას.

გ. ფურცელაძე,
თბილისის 50-ე საშ. სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (მარცხნივ) ტტს-ის კედლის გაზეთ „ნა სტარტის" რედკოლეგია ამზადებს მორიგ ნომერს. (მარჯვნივ) ნახატი „თამაშის მოლოდინში". ამოღებულია მაუდ-კამვოლის კომბინატის გაზეთ „ფიზკულტურნიკიდან".



# ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 7 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 19 | 12 | 4 | 3 | 58:25 | 28 |
| „დინამო" მ. | 21 | 10 | 8 | 3 | 44:24 | 28 |
| ცდსა | 20 | 10 | 5 | 5 | 40:28 | 25 |
| „დინამო" კ. | 19 | 6 | 10 | 3 | 27:22 | 22 |
| „ზურგვ." | 21 | 8 | 5 | 8 | 35:47 | 21 |
| „ტორპედო" | 20 | 6 | 7 | 7 | 35:35 | 19 |
| „შახტიორი" | 20 | 6 | 7 | 7 | 28:37 | 19 |
| „დინამო" თბ. | 20 | 7 | 4 | 9 | 38:41 | 18 |
| „ზენიტი" | 20 | 3 | 11 | 6 | 21:39 | 17 |
| „ლოკომოტ." | 20 | 4 | 8 | 8 | 31:26 | 16 |
| ოფ. სახლი სვ. | 20 | 5 | 4 | 11 | 25:40 | 14 |
| „შრ. რეზერვ." | 20 | 3 | 7 | 10 | 24:42 | 13 |

* * *

კომინიოვში ადგილობრივი „ბურევესტნიკი" შეხვდა კიევის „დინამოს". მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

---

# ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტოვი" კუიბიშევი | 28 | 20 | 5 | 3 | 67:15 | 45 |
| ოფ. სახლი თბილისი | 27 | 18 | 7 | 2 | 78:22 | 43 |
| „სპარტაკი" ერევანი | 27 | 14 | 9 | 4 | 55:17 | 37 |
| „ნეფტიანიკი" კრასნოდარი | 27 | 15 | 3 | 9 | 60:42 | 33 |
| „ზენიტი" იჟევსკი | 27 | 10 | 12 | 5 | 44:38 | 32 |
| „ნეფტიანიკი" ბაქო | 27 | 13 | 5 | 9 | 56:40 | 31 |
| ქ. ვორონეჟი | 28 | 10 | 11 | 7 | 31:29 | 31 |
| „ტორპედო" გორკი | 27 | 12 | 6 | 9 | 42:35 | 30 |
| „ტორპედო" სტალინგრადი | 28 | 11 | 5 | 12 | 39:42 | 27 |
| „პახტაკორი" ტაშკენტი | 24 | 10 | 6 | 8 | 30:30 | 26 |
| „ავანგარდი" ჩელიაბინსკი | 27 | 9 | 7 | 11 | 27:30 | 25 |
| ქ. მოლოტოვი | 26 | 10 | 5 | 11 | 22:27 | 25 |
| „ავანგარდი" სვერდლოვსკი | 26 | 7 | 10 | 9 | 28:35 | 24 |
| „ტორპედო" როსტოვი | 27 | 8 | 6 | 13 | 41:39 | 22 |
| „კაირატი" ალმა-ატა | 28 | 7 | 7 | 14 | 31:46 | 21 |
| „სპარტაკი" გროზნო | 28 | 4 | 8 | 16 | 20:63 | 16 |
| „კოლხოზჩი" აშხაბადი | 27 | 4 | 5 | 18 | 22:62 | 13 |
| „კოლხოზჩი" სტალინაბადი | 27 | 0 | 5 | 22 | 16:97 | 5 |

* * *

4 სექტემბერს, კუიბიშევში ითამაშეს ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა" და ბაქოს „ნეფტიანიკმა". შეხვედრის ანგარიშია 4:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

* * *

ვორონეჟის ნაკრები შეხვდა ერევნის „სპარტაკს". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

სტალინგრადის „ტორპედომ" თავის მოედანზე მიიღო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი. შეხვედრის ანგარიშია 2:2.

---

ეტიუდი
ი. კრიხელი



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.



სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისადმი მიძღვნილ საკავშირო ავტორბოლაში საქართველოს წარმომადგენლებმა დაიკავეს მეორე ადგილი.
ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს გუნდის წევრები (მარცხნიდან) ბ. შულცი, შ. ზარდიაშვილი, ი. ვარდპატრიკოვი, ა. მოლოდინაშვილი, ა. ოგანეზოვი, ვ. პოლისკოვი, კ. ჩერკაშინი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# შენიშვნები იმშთ და მშთ დაჭურვის ტიპის ვარჯიშთა კომპლექსებზე

მშთ კომპლექსი ყოველთვის იხვეწებოდა და ვითარდებოდა იმ ახალ მოთხოვნათა საფუძველზე, რომლებსაც აყენებდა ჩვენს ქვეყანაში მასობრივ-სპორტული მოძრაობის განვითარების ინტერესები. ამიტომაა, რომ მშთ კომპლექსი აქტიურად ემსახურება მშრომელთა ფართო მასების მომზადებას შრომისა და ქვეყნის თავდაცვისათვის.

მშთ კომპლექსის საფუძველზე იქნა შედგენილი დაჭურვის ტიპის ვარჯიშთა კომპლექსები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ მშრომელთა ფიზიკურ გაჯანსაღებაში. მშთ კომპლექსმა, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგრამ მასში შემავალი დაჭურვის ტიპის ვარჯიშები დღესაც იმავე სახით ტარდება, როგორც მათი პირველი შედგენის დროს. ამიტომ ნაკლებად ამართლებს თავის დანიშნულებას. პრაქტიკული დაკვირვებანი გვიჩვენებენ, რომ საერთო განმავითარებელ ვარჯიშთა ეს კომპლექსები არაა სრულფასოვანი. მათში გათვალისწინებული არ არის ბიოლოგიურ და პედაგოგიურ მეცნიერებათა მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული მიღწევები, შეიცავს ბევრ სერიოზულ ნაკლოვანებას.

საერთო განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსის აგების შესახებ ლიტერატურულ წყაროებში მოცემული მასალებიდან ცნობილია, რომ კომპლექსში პირველი ვარჯიშია „გაზმორების" ტიპის ვარჯიში, რომელიც წარმოადგენს ზომიერ ძალისმიერ ვარჯიშს. მისი შესრულების დროს სწორდება ხერხემლის სვეტი და ხდება ზემოქმედება ტანის სწორი აღნაგობის ფორმირებაზე. ამასთან იგი წარმოადგენს ღრმა სუნთქვით ვარჯიშს და უზრუნველყოფს მომდევნო ვარჯიშთა გამართულად შესრულებას. იმშთ-ს დაჭურვის ტიპის კომპლექსის პირველი ვარჯიში არ შეესაბამება „გაზმორების" ტიპის ვარჯიშს. იგი ძირითადად განგარიშებულია მუცლისა და ზურგის კუნთებისათვის, უპირატესად დაჭიმულობაზე მიზანდასახულობით. კომპლექსის დასაწყისშივე დაჭიმულობაზე აქცენტირებით დარღვეულია კომპლექსში მოცემულ ვარჯიშთა რეკომენდებული თანამიმდევრობა და კომპლექსის შედგენის დროს გასათვალისწინებელი ის ზოგადი დებულება, სადაც ნათქვამია, რომ დაჭიმულობაზე დიდი ინტენსიობით შესასრულებელ ვარჯიშთა წინ საჭიროა შესაბამის კუნთთა ჯგუფების ზომიერი გახურება (ზომიერი ძალისმიერი ვარჯიშებით), წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მყესის და კუნთის დაჭიმულობა ან მათი ბოჭკოების გაწყვეტა. ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ აღნიშნული ვარჯიში კომპლექსში იქნებოდა რიგით მეორე ან მესამე, ხოლო პირველ ვარჯიშად მიცემული იქნებოდა „გაზმორების" ტიპის ვარჯიში.

უდავოა, რომ საერთო განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსი უნდა შედგეს იმ თვალსაზრისით, რომ მისი ჩატარების შედეგად დამუშავდეს კუნთთა ყველა ჯგუფი, როგორც ძალაზე, ასევე დაჭიმულობასა და მოდუნებაზე. თუ ამ თვალსაზრისით გავარჩევთ იმშთ-ს დაჭურვის ტიპის ვარჯიშთა კომპლექსს, მნიშვნელოვან ხარვეზებს დავინახავთ. მაგალითად, მუცლის პრესის კუნთებისათვის ვარჯიშებს ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, ხსენებულ კუნთთა ჯგუფის (დაჭიმულობაზე) დამუშავების მიზნით მხოლოდ თვლა 1-ზე შესასრულებულ მოძრაობას ვხვდებით, ისიც განმეორებათა უმნიშვნელო რაოდენობით. სავსებით გამორიცხულია ვარჯიში კისრის კუნთებისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კომპლექსში ზედა კიდურებისა და მხრის სარტყლის კუნთებისათვის მოცემული რვა ვარჯიშიდან ხუთში მკლავები აწარმოებენ მუშაობას ერთ სიბრტყეში, ამასთან ერთი მეორის მიყოლებით მეორე, მეხუთე და მეექვსე ვარჯიშებში. რამდენიმე ვარჯიშში ერთი მიმართულებით, ერთი მეორის მიყოლებით, მკლავებით თითქმის ერთიდაიგივე მუშაობის შესრულება, ჩვენის აზრით, კომპლექსის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს.

კომპლექსში ვარჯიშთა ინტენსიურობა თანდათანობით უნდა იზრდებოდეს. ეს უზრუნველყოფს დატვირთვის საერთო დინამიკას როგორც მთლიანად ორგანიზმზე, ისე მის ცალკეულ ნაწილებზე. იმშთ-ს დაჭურვის ტიპის ვარჯიშთა კომპლექსში ინტენსიურობის პრინციპი დარღვეულია; კომპლექსი იწყება შედარებით დიდი ინტენსიურობის ვარჯიშით; მომდევნო მეორე და მესამე ვარჯიშში იგი თანდათანობით მცირდება. ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით მეოთხე-მეხუთე ვარჯიშშიც. შემდეგ ვარჯიშებში კი პირიქით ხდება. ინტენსიურობის ასეთი მერყეობა კომპლექსის ნაკლოვანი მხარეა.

კომპლექსში მცირეა აგრეთვე ვარჯიშების განმეორებათა რიცხვი, რაც დაბლა სწევს დატვირთვის დინამიკას და ორგანიზმზე საერთო ჰიგიენურ ზემოქმედებას.

მშთ I საფეხურის დაჭურვის ტიპის ვარჯიშთა კომპლექსში შედარებით მიზანშეწონილი ვარჯიშებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ კომპლექსში ნაკლებად ვხვდებით ვარჯიშს მუცლის პრესის კუნთებისათვის. ზეტანის გვერდით კუნთებისათვის ვარჯიშები კი ჭარბადაა გამოყენებული.

არამართებულად მიგვაჩნია აგრეთვე ის, რომ ყველასათვის (განურჩევლად სქესისა და ასაკისა) მოცემულია დაჭურვის ტიპის ვარჯიშთა მხოლოდ ერთი კომპლექსი. ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, თუ მშთ I საფეხურის ჩამბარებელთათვის ცალ-ცალკე შედგებოდა დაჭურვის ტიპის ვარჯიშთა კომპლექსები შესრულების ტემპის სხვაობითა და სხვა მეთოდური მითითებებით.

**ხ. თედიევი,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.**

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულს უახლოვდება რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში. გასულ კვირას ქუთაისის „ტორპედომ" თავის მოედანზე მიიღო თბილისის „დინამო" I. მატჩის პირველი ნახევარი აღინიშნა ორმხრივი იერიშებით, მაგრამ ანგარიშის გახსნა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. მეორე ტაიმში ინიციატივა ხელთ იგდეს მასპინძლებმა. მალე მათ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, რასაც დინამოელებმა ერთი გოლის გატანით უპასუხეს. მსაჯის ფინალურ სასტვენამდე „ტორპედომ" შეძლო კიდევ ერთი ბურთის გატანა და მატჩი მოიგო ანგარიშით 3:1.

საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა შეხვედრა მახარაძეში ადგილობრივ „კოლმეურნესა" და ბათუმის „დინამოს" შორის. ორივე გუნდი მთელი მონდომებით იბრძოდა გამარჯვებისათვის. მე-19 წუთზე მახარაძელმა გვარამაძემ კარგად გაიყვანა გარღვევაზე ტაბაძე, რომელმაც ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ მახარაძელმა ფეხბურთელებმა ანგარიში კიდევ ერთი ბურთით გაზარდეს. მატჩის საბოლოო შედეგია 2:0 მახარაძის „კოლმეურნის" სასარგებლოდ.

ქობულეთში ადგილობრივი „კოლმეურნე" შეხვდა სოხუმის „დინამოს". მატჩის პირველივე წუთზე სტუმართა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა ყლენტმა — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ ეპიტაშვილმა მეორე ბურთი გახვია „დინამოს" კარში. ტაიმის დასასრულამდე დინამოელებმა მოახერხეს ერთი ბურთის გატანა.

მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს. გაიმარჯვეს ქობულეთელმა ფეხბურთელებმა 3:2.

* * *

**1 ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" თბ. | 26 | 20 | 4 | 2 | 65:12 | 44 |
| „დინამო" ქუთ. | 26 | 15 | 7 | 4 | 48:27 | 37 |
| „დინამო" ბათ. | 26 | 13 | 9 | 4 | 51:28 | 35 |
| ტტს თბ. | 23 | 14 | 6 | 3 | 70:15 | 34 |
| 26 კომ. სახ. რ-ნი | 28 | 10 | 9 | 9 | 41:51 | 29 |
| „კოლმეურნე" მახ. | 22 | 12 | 4 | 6 | 51:33 | 28 |
| „დინამო" სოხ. | 27 | 11 | 6 | 10 | 51:52 | 28 |
| „ბურევ." ფოთი | 24 | 10 | 7 | 7 | 28:33 | 27 |
| „დინამო" გორი | 26 | 8 | 7 | 11 | 30:37 | 23 |
| „ტორპედო" ქუთ. | 27 | 8 | 5 | 14 | 42:58 | 21 |
| „კოლმეურნე" ქობ. | 21 | 6 | 7 | 8 | 20:29 | 19 |
| „მეტალ." რუსთ. | 26 | 6 | 6 | 14 | 23:49 | 18 |
| „სპარტაკი" სტალ. | 25 | 4 | 6 | 15 | 22:56 | 14 |
| „დინამო" I თბ. | 17 | 3 | 4 | 10 | 16 38 | 10 |

* * *

დღეს იწყება რესპუბლიკის თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობს 31 გუნდი.

პირველ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან: „კოლმეურნე" (აბაშა) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — ქისტაური (ახმეტა), გეგეჭკორი — კაჭრეთი, სპორტსკოლა (თელავი)—„კოლმეურნე" (მაიაკოვსკი), „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „კოლმეურნე" (ვარდაბანი), „მეტალურგი" (ჭიათურა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „შახტიორი" (ტყიბული)—„ბურევესტნიკი" (ლაგოდეხი), „კოლმეურნე"—(დმანისი) — „სპარტაკი" (საჩხერე).

# შხელდაზე

მიმდინარე წლის სეზონში უშბისა და შხელდის ყინვარებს ეწვია სპორტული ჯგუფი. ესენი იყვნენ საზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრები. მოიერიშეთა ჯგუფი შემდგარი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან. მასში შედიოდნენ აგი და გიგი აბაშიძეები, გ. მახვილაძე, ო. ბერაძე, გ. ბერძენიშვილი. მოიერიშეთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო უნივერსიტეტის ასპირანტი შ. მირიანაშვილი. მოიერიშეთა გარდა მათთან იყვნენ დამხმარე ჯგუფის წევრები, რომელშიც ქართველ სპორტსმენებთან ერთად შედიოდნენ უკრაინელი ალპინისტები ჯ. ანტონიუკი, ვ. კოვალენკო, პ. ტომასოვი და სხვები.

ძირითადი ბანაკი მათ ყინვარების შესართავთან გაშალეს 3.400 მეტრის სიმაღლეზე.

29 აგვისტოს მოიერიშეებმა დატოვეს ბანაკი. მათ სწრაფად გაიარეს შხელდის ყინვარი და მიაღწიეს პროფკავშირების პიკს. მასზე ასვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა და დღის 3 საათზე ტრავერსის მონაწილეებმა მწვერვალზე დატოვეს პირველი ბარათი. პროფკავშირის სახელობის პიკიდან დაშვების შემდეგ მათ იმავე დღეს საღამოს 6 საათზე შხელდის I დასავლეთ მწვერვალზე შედგეს ფეხი და მალე ისინი მეორე დასავლეთ მწვერვალის ძირას იყვნენ. მეორე დღის 9 საათზე ჯგუფი დაიძრა II დასავლეთ შხელდისაკენ. მთამსვლელებს დიდი ჯაფა დაადგათ, რადგან კლდოვანი ფერდობები გაყინული აღმოჩნდა. 4 საათის შემდეგ იერიშის ექსივე მონაწილე უკვე მწვერვალზე იყო და ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ.

31 აგვისტოს ისინი უნაგირაზე დაბანაკდნენ და იქ გაათიეს ღამე. ტრავერსის მონაწილეებს ალბად დიდხანს ემახსოვრებათ პირველი სექტემბერი, რადგან ყოველმა მათგანმა უჩვეულო რამ განიცადა: მთელი დღის განმავლობაში ზმუოდა ქარი, ნისლი და ქარბუქი კარავიდან გამოსვლის საშუალებას არ იძლეოდა. საღამოს 9 საათისათვის მონაწილეებმა უეცარი ბიძგი იგრძნეს, რომელსაც საშინელი გრუხუნი მოჰყვა და კარავი თვალის მომჭრელი ელვარებით განათდა — ეს იყო მეხი. ათი წუთის განმავლობაში მთამსვლელები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. „ვაი თუ ვინმე დაზიანდა" ფიქრობდნენ ისინი. ბოლოს გამოირკვა, რომ ყველა უვნებლად ვადაურჩა ბუნების სტიქიას.

მომდევნო დღეებიც ისეთივე უხალისო და ავდრიანი გამოდგა, როგორც წინა. ისინი სამი დღის განმავლობაში კარვიდან არ დაძრულან. მოთმინებასთან ერთად მათ პროდუქტებიც გამოელიათ. ორი გზა რჩებოდა — ან ქვევით და ან III დასავლეთ შხელდისაკენ. ზევით წასვლა არჩიეს. 4 სექტემბერს ამინდი გამოკეთდა, შეწყდა თოვა, მაგრამ ნისლი ხან ხურავდა და ხან ხსნიდა მწვერვალს. მეცნიერების პიკის გავლით ალპინისტები დათოვლილი ქედით ავიდნენ III დასავლეთ მწვერვალზე, სადაც მათ დახვდათ დამხმარე ჯგუფის მიერ ამოტანილი პროდუქტები. ამ ამბავმა ყველა მონაწილეს ხალისი და ენერგია შემატა. შეავსეს პროდუქტები და გადაწყვიტეს უნაგირაზე დაბანაკებულიყვნენ. მთამსვლელებმა კიდევ ერთი დღე გაატარეს კარავში, ხოლო 6 სექტემბერს ჩრდილო დასავლეთ ქედით ავიდნენ ცენტრალურ შხელდაზე, რითაც ტრავერსის ყველა მონაწილემ საკუთარ აქტივში ჩაიწერა ამ კლასიკური მწვერვალის მთლიანი ტრავერსი.

**უ. ჭიჭინაძე**

# მელბურნი, ოლიმპიური თამაშები

## ერთიანი გუნდი

22 სექტემბერს ვეიმარში (გდრ) გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფედერალური რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელთა მოლაპარაკება, სადაც განიხილეს საკითხი მელბურნში გერმანიის ერთიანი გუნდის გაგზავნის შესახებ.

მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელად დაინიშნება გერმანიის იმ ნაწილის წარმომადგენელი, რომლის სპორტსმენები უფრო მეტი რაოდენობით იქნებიან ოლიმპიური ნაკრებში. ამავე პრეს-კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მელბურნში არ წავლენ გერმანიის წყალბურთელები და ბალახის ჰოკეისტები.

## 24 საათი ტელეხედვის სტუდიაში

შეერთებული შტატების ოლიმპიური კომიტეტი საგონებელშია ჩავარდნილი. იმისათვის, რომ გუნდი გაგზავნოს მელბურნში, მას 1.300.000 დოლარი ჭირდება. მთავრობა კი ოლიმპიური ხაზინის გამდიდრებას არ აპირებს არც ერთი დოლარით. ამ მიზნით კომიტეტი დოლარების შოვნის ათასგვარ ვარიანტებს მიმართავს.

შეერთებული შტატების მოვაჭრეთა კავშირსაც შეაქვს წვლილი ოლიმპიური სახსრების შეგროვებაში. ამერიკაში ყოველი გაყიდული ნივთიდან გარკვეული პროცენტი (5 ცენტამდე) მელბურნის ფონდში გადადის. მაგრამ ამ საქმეში ყველაზე უფრო გამოიჩინა თავი ტელეხედვამ. მსხვილმა სატელევიზიო კომპანიებმა თხოვნით მიმართეს სახელგანთქმულ „კინოვარსკვლავებს" დაჰყონ სტუდიაში 24 საათი. ამ ხნის განმავლობაში მოსაუბრეობას საშუალება ეძლევა გარკვეული თანხის შეტანით (რომელიც გადაერიცხება ოლიმპიურ ფონდს) 3 წუთს ელაპარაკოს სასურველ „ვარსკვლავს".

ოლიმპიური სახსრების შეგროვებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ცნობილმა მძლეოსანმა, ათჭიდელმა და ჭოკით მხტომელმა ბობ რიჩარდსმა. ერთ-ერთი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ რიჩარდსმა მიმართა სიტყვით მაყურებელს:

— ჩვენ უნდა გავაგზავნოთ მელბურნში საუკეთესო სპორტსმენები. ამისათვის კი საჭიროა ფული. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყველანი კარგი ბიჭები ხართ და დაგვეხმარებით შეძლებისდაგვარად.

რიჩარდსის სიტყვას მოჰყვა აპლოდისმენტები... და ორიათასი დოლარი.

### ვის ეკუთვნის მსოფლიო რეკორდები

### „მშრალი კანონი" ძალაში დარჩა

### როგორ გროვდება ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებელი თანხა

## ჟურნალისტები ეძებენ სენსაციებს

ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების დღეებში გამოჩენილ სპორტსმენებზე ყოველ ახალ, თუნდაც უმნიშვნელო ცნობას ხალხი ხარბად ეწაფება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სენსაციების მოყვარულთათვის დადგა ოქროს ხანა. რეპორტიორი, რომელიც აღმოაჩენს ამა თუ იმ „ვარსკვლავის" ცხოვრებაში რაიმე ახალ დეტალს, არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობს.

ჯიმ პროვერი ასეთთა შორის შეიძლება ყველაზე ბედნიერი ადამიანია, რადგან მან პირველმა აცნობა მსოფლიოს სტრიკლენდის „საქმე". სტრიკლენდი, ან როგორც მას გათხოვებამდე უწოდებდნენ შირლი დე ლა ხანდი, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი ქალია. ავსტრალიაში იგი ეროვნული „გმირის" უფლებებით სარგებლობს. და აი ამ გამოჩენილი სპორტსმენის წინააღმდეგ აღიძრა საქმე, რომელმაც მას შეიძლება სამუდამოდ დაუკარგოს დიდება და ბრწყინვალე კარიერა.

ყველაფერი კი უმნიშვნელო, დაუკვირვებელი საქციელით დაიწყო. სიგარეტების ერთ-ერთი ფაბრიკის აგენტმა გლოდ ფლეინმა გადაწყვიტა სარეკლამო მიზნებისათვის გამოეყენებინა სტრიკლენდის პოპულარობა. მან გამოჩენილ სპორტსმენს თხოვა გადაეღო სურათი სიგარეტით პირში. სტრიკლენდი განმეორებითი თხოვნის შემდეგ დათანხმდა. და აი ავსტრალიის ქალაქებს მოედო რეკლამა, რომლის ქვეშ წარწერა იუწყებოდა „ისარგებლეთ სიგარეტით, რომელსაც ეწევა მსოფლიო რეკორდსმენი შირლი სტრიკლენდი".

ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო და ამასთან დაუკვირვებელმა ფაქტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ავსტრალიის მძლეოსანთა ფედერაციის რიგებში. შირლი სტრიკლენდს წაუყენეს ბრალდება პროფესიონალიზმში. საქმემ სახიფათო ხასიათი მიიღო. მაშინ სტრიკლენდმა ფედერაციის ხელმძღვანელებს დაუმტკიცა, რომ ზემოაღნიშნულ რეკლამაში მას გასამრჯელო არ მიუღია და მხოლოდ ზრდილობისათვის დათანხმდა გლოდ ფლეინის მომაბეზრებელ თხოვნას. მაგრამ მშრალი პარაგრაფების მიმდევრებმა არაფრად ჩააგდეს სტრიკლენდის მტკიცება და თავიანთი ბრალდება ძალაში დატოვეს.

გამოდის, რომ ავსტრალია უარს ამბობს თავის უსაყვარლეს სპორტსმენზე, მხოლოდ იმის გამო, რომ მან ჩაიდინა დაუკვირვებელი საქციელი. ყოველ შემთხვევაში, თუ უმოკლეს ხანში სტრიკლენდმა ვერ დაამტკიცა თავისი სიმართლე, მას აეკრძალება არა თუ ოლიმპიურ თამაშებში, არამედ ყველა სხვა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

არა ნაკლებ საინტერესო ცნობა ჩაუვარდა ხელში მეორე ავსტრალიელ ჟურნალისტს დუგ კლეინს. თურმე ტურისტები, რომლებიც უნდა ეწვიონ ავსტრალიას, გამოუვალ მდგომარეობაში არიან. რატომ? ვიზების მიცემას უგვიანებენ მათ, ან ავსტრალიაში მიღებაზე უცხადებენ უარს? სრულებითაც არა. ტურისტებს აწუხებს ვიქტორიანული მთავრობის „მშრალი კანონი", რომელიც კრძალავს ალკოჰოლის გაყიდვას საღამოს 6 საათის შემდეგ.

რამდენიმე დღის წინ საგუბერნატორო საბჭოს სახელზე მოვიდა თხოვნა — მოიხსნას აკრძალვა ოლიმპიური თამაშების დღეებში, ან უკიდურეს შემთხვევაში გადატანილ იქნას დრო 10 საათამდე. მოხდა კენჭისყრა, რომელმაც უარყო ზემოაღნიშნული თხოვნა.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი წამოაყენა მელბურნის საღამოს გაზეთმა. იგი სპორტსმენთა მიღებასა და დაბინავებას ეხება. წერილის ავტორმა მასალების გულმოდგინე ქექვის შემდეგ დაადგინა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვეულებრივი ზომისა და სიმაღლის სპორტსმენებთან ერთად, რაღაც გარკვეული პროცენტით გიგანტებიც ჩამოვლენ. სტატისტიკური მონაცემები ლაპარაკობენ, რომ სპორტსმენთა 58 პროცენტი 180 სანტიმეტრზე მაღლები არიან. ამ რაცხვიდან ხუთასი 186 სანტიმეტრს აღწევს, 270 კაცი — 193-ს, ორმოცდახუთი კი — 195 სანტიმეტრს და ზევით.

— ეს იმას ნიშნავს,—აცხადებს გაზეთი, — რომ სპორტსმენთა ბინებში არსებული საწოლები ბევრისათვის მოუხერხებელი იქნება. ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

როგორც ცნობილია, სკანდინავიის, დანიის და ჰოლანდიის სპორტსმენები მელბურნს ეწვევიან თვითმფრინავით. ამისათვის მათ მოუხდებათ 36 საათზე მეტი გონოლულუში ყოფნა.

გონოლულუში ყოფნა სპორტსმენებისათვის ერთ მეტად დამამცირებელ რიტუალთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ ჩრდილოეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა მიიღონ ამერიკის ტერიტორიაზე გასვლის უფლება (თუნდაც სულ მცირე ხნით), მათ უნდა დატოვონ თითების ანაბეჭდი პოლიციაში.

შვეციის ოლიმპიურმა კომიტეტმა, სტოკჰოლმში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართა თხოვნით, მოეხსნა სპორტსმენებისათვის ეს დამამცირებელი ცერემონიალი, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ ჩრდილოეთის ქვეყნების კომიტეტებმა დახმარებისათვის მიმართეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს ბრენდეჯს. შეძლებს თუ არა იგი ვაშინგტონში თანხმობის მიღებას, ეს უკვე მომავლის საქმეა.

**ლ. კვინტრაძე.**



ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის პრეტენდენტი რუმინელი იოლანდა ბალაში რომელსაც ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის (175 სმ.), წვრთნის დროს.

## საუკეთესონი

1956 წლის მძლეოსანთა საუკეთესო შედეგები ასე გამოიყურება:

### ვაჟები

**100 მ.** უ. უილიამსი, ა. მერჩისონი (ორივე აშშ) — 10,1 — მსოფლიო რეკორდი. **200 მ.** დ. ზიმი (აშშ) — 20,0 — მსოფლიო რეკორდი. **400 მ.** ლ. ჯონსი (აშშ) — 45,2 — მსოფლიო რეკორდი. **800 მ.** ტ. კურტნეი (აშშ), ა. ბოისენი (ნორვეგია) — 1.46,4. **1.500 მ.** ი. როჟეველდი (უნგრეთი) — 3.40,6 — მსოფლიო რეკორდი. **5.000 მ.** გ. პირი (ინგლისი) — 13.36,8 — მსოფლიო რეკორდი. **10.000 მ.** ვ. კუცი (სსრკ) — 28.30,4 — მსოფლიო რეკორდი. **თარჯ. რბენი 110 მ.** ჯ. დევისი (აშშ) — 13,4 — მსოფლიო რეკორდი. **თარჯ. რბენი 400 მ.** გ. დევისი (აშშ) — 49,5 — მსოფლიო რეკორდი. **3.000 მ. დაბრკოლებებით.** შ. როჟნეი (უნგრეთი) — 8.35,6 — მსოფლიო რეკორდი. **მარათონული რბენა.** ა. ვისკარი (ფინეთი) — 2:14.14,0 — მსოფლიო მიღწევა. **სიარული 20 კმ.** ლ. სპირინი (სსრკ) — 1:28.45,2 — მსოფლიო რეკორდი. **სიარული 50 კმ.** გ. კლიმოვი (სსრკ) — 4:05.12,2 — მსოფლიო მიღწევა. **4×100** — ტეხასის უნივერსიტეტი (აშშ) — 40,1. **4×400** — გერმანიის ნაკრები — 3.07,8.

**ხტომა სიმაღლეზე** — ჩ. დიუმასი (აშშ) — 2 მ 14,6 სმ — მსოფლიო რეკორდი. **ხტომა სიგრძეზე** — ხ. ვისერი (ჰოლანდია) 7 მ 98 სმ. **ხტომა ჭოკით** — დ. ბრეგი, რ. რიჩარდსი (ორივე აშშ) — 4 მ 66 სმ. **სამხტომი** — ლ. შჩერბაკოვი (სსრკ) 16 მ 46 სმ. **ბირთვის კვრა** — პ. ობრაიენი (აშშ) — 19 მ 6 სმ — მსოფლიო რეკორდი. **ბადროს ტყორცნა** — ფ. გორდიენი (აშშ) — 57 მ 21 სმ. **შუბის ტყორცნა** — ი. სიდლო (პოლონეთი) — 83 მ 66 სმ — მსოფლიო რეკორდი. **უროს ტყორცნა** მ. კრივონოსოვი (სსრკ) — 66 მ 38 სმ — მსოფლიო რეკორდი. **ათჭიდი** — რ. ჯონსონი (აშშ) — 77 54 ქულა.

### ქალები

**100 მ.** გ. კელერი (გერმანია), მ. მეტიუსი, ბ. კატბერტი (ორივე ავსტრალია), გ. პოპოვა (სსრკ), ვან დაუნბროუერი (ჰოლანდია) — 11,5. **200 მ** ბ. კატბერტი (ავსტრალია) 23,2 — მსოფლიო რეკორდი. **თარჯრბენი 80 მ.** — ც. გასტლი (გერმანია) — 10,6 — მსოფლიო რეკორდი. **4×100** სსრკ, გერმანიის, ინგლისის ნაკრებები —45,2— მსოფლიო რეკორდი. **ხტომა სიგრძეზე** — ე. კრეშინსკა (პოლონეთი) — 6 მ 35 სმ — მსოფლიო რეკორდი. **ხტომა სიმაღლეზე** — ი. ბალაში (რუმინეთი) — 1 მ 75 სმ — მსოფლიო რეკორდი. **ბირთვის კვრა** — თ. ტიშკევიჩი (სსრკ) — 16 მ 52 სმ. **ბადროს ტყორცნა.** ნ. პონომარიოვა (სსრკ)—54 მ 74 სმ. **შუბის ტყორცნა** — ვ. როლაიდი (სსრკ) — 53 მ 32 სმ. **ხუთჭიდი** — ნ. ვინოგრადოვა (სსრკ) — 4 767 ქულა — მსოფლიო რეკორდი.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 07135